მოისმინეს:ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი ტარასაშვილისთვის (პ/ნ: 01024025588) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ლალი ტარასაშვილმა (პ/ნ: 01024025588) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების

მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N51-ში მდებარე 01.16.05.014.006.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამი შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დადებითი შეფასება გასცა „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 280 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ლალი ტარასაშვილისთვის (პ/ნ: 01024025588) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 5 280 ლარით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვივინოსთვის“ (ს/ნ: 402047094) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, შპს „ვივინომ“ (ს/ნ: 402047094) ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა „ქ. თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.046) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქ.თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ში, N01.18.03.039.045.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამი შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დადებითი შეფასება. ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის ქ.თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ, N01.18.03.039.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან და ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 200 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „გალაქსი ინვესტისთვის“ (ს/ნ: 404449049) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დადიანის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.046), 2027 წლის 1 თებერვლამდე ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 1 200 ლარით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლისი თაურსისთვის“ (ს/ნ: 405535915), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2024 წლის 16 აპრილიდან 2024 წლის 13 მაისის ჩათვლით, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ამშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 4.0-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობების გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 2 650 კვ.მ-თ. აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) დაინტერესებული პირის განცხადება, ამასთან, შპს „ლისი თაურსის“ (ს/ნ: 405535915), მიერ შემოთავაზებული იქნა საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობების გადასაცემი - 4 200 კვ.მ ოდენობის ფართის ოდენობით - (თეთრი კარკასის მდგომარეობით), რომელიც უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლისი თაურსი“ (ს/ნ: 405535915).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეკომენდაციით განსაზღვრული შეზღუდვის ბუფერი, კერძოდ, მიწის ნაკვეთი მდებარეობს საელჩოს საკადასტრო საზღვრიდან (ს/კ 01.10.05.041.002) 200-დან 500 მეტრამდე არეალში. შესაბამისად, სამშენებლო პროექტის ფარგლებში მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა საელჩოსგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვება და მის მიერ გაცემული რეკომენდაციების/პირობების დაცვა.

სააგენტომ წერილით მიმართა აშშ-ს საელჩოს. პასუხად, წარმოდგენილი იქნა აშშ-ს საელჩოს 2024 წლის 23 სექტემბრის წერილი, რომლის მიხედვით, საელჩო, არ არის მშენებლობის წინააღმდეგი იმ პირობით, თუ განთავსდება არაუმეტეს 10 სართულიანი შენობა, რომელსაც საელჩოს მხარეს არ ექნება დიობები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოში ამოიწურა იმ კოოპერატივის წევრთა სია, ვისაც სააგენტოსთვის მიმართული აქვს, თანახმაა შეთავაზებული პროექტებიდან დაკმაყოფილებაზე და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი აქვს სარეიტინგო ქულის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად, მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით. მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით, სააგენტომ გაითვალისწინა კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 32 (ოცდათორმეტი) წევრის დაკმაყოფილებას.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე ვერ განხორციელდა გადასაცემი ფართის (4200 კვმ-ის) სრულად კოოპერატივის წევრებზე გადანაწილება. კერძოდ, კოოპერატივის წევრების გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს - 2541.324 კვ.მ-ს, აქედან გამომდინარე, დარჩენილი, 1658.68 კვ.მ-ის ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6 605 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება „ქალაქ თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის

და ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის - შპს „ლისი თაუერსისთვის“ (ს/ნ: 405535915), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1638.1864 განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თეასთვის“ (ს/ნ: 202910519) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, შპს „თეას“ (ს/ნ: 202910519) წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N29/რომის ქუჩა N5-ში მდებარე N01.16.05.027.017.01.522 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს.სამსახურის გადაწყვეტილებით, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N01.16.05.032.024, N01.16.05.027.029 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2024 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „თეასთვის“ (ს/ნ: 202910519) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 4 800 ლარით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თათია ბარაქაძის მოხსენებით, მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე სსიპ ქონესააგენტომ №61-01240392758 წერილით მიმართა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ს/ნ: 404391136) და ითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული 234 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.004.084) ადგილმონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, ქონების შემძენისთვის მის საკუთრებაში არსებული N01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში არსებული 2 402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის N24.256.291 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N43 განკარგულების საფუძველზე, სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.13.01.004.151), ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.15.03.004.084). ამასთან, ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთის ღირებულება 225 846 ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ღირებულებას.

ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს №01.13.01.004.151 და №01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 ლარის ოდენობით, ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული 6 (ექვსი) თვიანი ვადის გაზრდის საკითხი. ამასთან, აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულება წარმოადგენს არა მხოლოდ ქონების შემძენის, არამედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესს.

ქონების შემძენი ითხოვს ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის 12 (თორმეტი) თვემდე გაზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 02 ოქტომბრის №24.1668.1888 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1758.1969 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1578.1696 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის

20 ოქტომბრის N504 განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოქალაქე ნოდარ ეფრემიძისთვის (37001001183) ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და მითითებული განკარგულებებით განსაზღვრული ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით განისაზღვრა 3 (სამი) თვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N504 განკარგულების გამოქვეყნების დღიდან.

თათია ბარაქაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ პერიოდში გაუარესდა ნოდარი ეფრემიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მან ვერ განახორციელა მითითებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და გაუშვა ზემოაღნიშნული 3 (სამი) თვიანი ვადა.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 6 სექტემბერს N19/01242502844-61 განცხადებით მიმართა ნინო ეფრემიძემ, რომლითაც წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 13 აგვისტოს განჩინება, რითაც დადგინდა რომ ნინო ეფრემიძე დაინიშნა ნოდარ ეფრემიძის დროებითი მხარდამჭერად და მიენიჭა მისი ინტერესებიდან გამომდინარე ცალკეული უფლებების განხორციელების უფლება, მათ შორის, N01.19.23.009.059.01.520 საკადასტრო ერთეულის ნოდარ ეფრემიძის საკუთრებაში რეგისტრაციისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებში წარმომადგენლობა. სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნინო ეფრემიძის მიერ მოთხოვნილ იქნა, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, ნოდარ ეფრემიძის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერა. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან გასულია თბილისის საკრებულოს შესაბამისი აქტის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) თვიანი ვადა, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1578.1696 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე ნოდარი ეფრემიძეს (37001001183) საკუთრებაში გადაცემის საკითხის განმეორებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენა და მითითებული საკითხების შეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქი თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ნინო გულბანი- დაკავებული ფართი - 31.96 კვ.მ; ნათელა მეცხვარიშვილი - დაკავებული ფართი - 35.96 კვ.მ; ლელა სესიაშვილი- დაკავებული ფართი - 39.40 კვ.მ; თინათინი კვანჭიანი- დაკავებული ფართი - 34.63 კვ.მ; ზაზა ტურიაშვილი - დაკავებული ფართი - 60.09 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 202.04 კვ.მ ფართი

მსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად მითითებულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობენ 2003-2004 წლებიდან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.083.01.01.020; N01.19.20.020.083.01.01.019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

თათია ბარაქაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.083.01.01.020; N01.19.20.020.083.01.01.019) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1641.1854 განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

კერძოდ ორ პირს(ოჯახს) გადაეცემა საერთო ჯამში 125 კვმ საცხოვრებელი ფართი აღნიშნულ მისამართზე. მარინა ჩადუნელს 75 კვმ და ლია ბაკურაძეს 50 კვმ. საცხოვრებელი ფართები. აღნიშნული პირები წარმოადგენენ ავარიული ბინების (III მასივი I კორპუსი) ჩანაცვლების პროგრამით მოსარგებლები.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, სახლი N2-ში და კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, სახლი N2-ში და კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები (საერთო ჯამში 93,61 კვ.მ ფართი) საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საკუთრებაში გადაეცემათ, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები: ნანი პირველი (3/ნ 01019057030) დაკავებული ფართი - 57.27 კვ.მ , მარინე დოლიძე (3/ნ 46001003417) და იური გიორგაძე (3/ნ 46001003056) დაკავებული ფართი - 36.34 კვ.მ შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ნანი პირველი დაახლოებით 18 წელია, ხოლო მარინე დოლიძე და იური გიორგაძე 10 წელზე მეტია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ნანი პირველი 1994 წლიდან და მარინე დოლიძე და იური გიორგაძე - 2000 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.03.045) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

თათია ბარაქაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა მე-2 შესახვევი N1-ში, პირველ სართულზე არსებული 43.20 კვ.მ ფართის ბინა N45-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.03.045) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარიამ ჭუმბაძეს (3/ნ 01001089991), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით მარიამ ჭუმბაძე ოჯახთან ერთად წლებია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მარიამ ჭუმბაძე 2007 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე